<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მაისი 2018 წელი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს პეტრე სურგულაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:2,500
X=491677.46 Y=4614482.52
პეტრე სურგულაძის ქ.
X=492195.51 Y=4614228.52

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031810669**

თარიღი: **16.04.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი აბელ ენუქიძის ქუჩისთვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით.
როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა. გიგზავნით ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ქუჩის სიტუაციურ ნახაზს (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ აბელ ენუქიძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181071950**

თარიღი: **17.04.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 16.04.2018 წლის #03-031810669 (16.04.2018წ. #14-01181061788-67) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი